


10

140



ს. ნ. ნ. ნ. ნ. ნ.

№ 1
იანვარი
1954



ლ ე ნ ი ნ ი - ბ ი მ ნ ა ზ ი ა ლ ი

ქანდაკება ვ. ე. ციგალისა



ქალღიერ ბიბლიკოსი

კ ო მ კ ა ვ შ ი რ უ ლ ი *

აწენებს,
ანგრევს,
კერავს
და ჭრის,
მშვილდება
და ჰქუხს სიმღერებით,
გრიანებს,
საუბრობს
და ცეცხლსა ღვრის
ჭაბუკთა არმია —
ლენინელები.
ქალაქთა ძარღვების
მღელვარე სისხლი ვართ,
ვართ ღორთქო ჯეჯილი,
მშრომელთა ძალა...
ლენინი —
ცოცხლობდა,
ლენინი —
ცოცხლობს,
ლენინი —
იცოცხლებს მარად.
სევდით გავითანგეთ —
დავდეთ მავსოლეუმს
ლენინის ნაწილი —
სხეული.
მაგრამ დროს
არ არგებს
მასთან გაბრძოლებსა,—
იცოცხლებს ლენინის
საქმე ღირსეული.
სიკვდილო,
შენ ასლა
დროა დაიმორცხვოს!

მის სიკვდილს
შედლებდი განა?!
ლენინი —
ცოცხლობდა,
ლენინი —
ცოცხლობს,
ლენინი —
იცოცხლებს მარად.
ის ცოცხლობს, —
როდესაც
კრემლი განაგებს, —
ხალხთა ბედს,
სიცოცხლეს
და თვალის გახელას.
იცოცხლებს
და მიწა
მუდამ იამაყებს
ლენინის
ღიადი,
უკვდავი
სახელით...
სევდას გაუმგარდი,
გახსოვდეს,
იცოდე,
წუხილს არ ავყვებით,
არა!
ლენინი —
ცოცხლობდა,
ლენინი —
ცოცხლობს,
ლენინი —
იცოცხლებს მარად.

სასახლებო
უფროსილით კოცონსი
თქვენს ბიჭებს
გავფანტავთ
მყარ ფერფლის გვარად.
ლენინი —
ცოცხლობდა,
ლენინი —
ცოცხლობს,
ლენინი —
იცოცხლებს მარად.
აწენებს,
ანგრევს,
კერავს
და ჭრის,
მშვილდება
და ჰქუხს სიმღერებით,
გრიანებს,
საუბრობს
და ცეცხლსა ღვრის
ჭაბუკთა არმია —
ლენინელები.
ქალაქთა ძარღვების
მღელვარე სისხლი ვართ,
ვართ ღორთქო ჯეჯილი,
მშრომელთა ძალა...
ლენინი —
ცოცხლობდა,
ლენინი —
ცოცხლობს,
ლენინი —
იცოცხლებს მარად.

თარგმანი ნოდარ გუჩუაშვილი

* იხილეთ მემოკლები



შ ა ბ ა თ ო ბ ა

ვისაც 1919—1920 წლებში ჩვენი რკინიგზებით უმოგზაურია, მას უნახავს «ორთქლმავლების სასაფლაო». ასე ეწოდებოდა იმ ადგილებს, სადაც დამტვრეულ ორთქლმავლებს ყრინდნენ. სამოქალაქო ომის დროს ისინი ყუმბარებით დაზიანდნენ და ახლა თავდაყირა უმწეოდ ეყარნენ.

მძიმე წლები იყო. ყველგან ომის ნაკვალევი ჩანდა: მდინარეებზე — აფეთქებული ხიდები, ქალაქებში — გადაამწყვარი სახლები, რკინიგზებზე — დამსხვრეული ორთქლმავლები.

საბჭოთა ქვეყანას თავისი მეურნეობის ხელახალი აღდგენა უხდებოდა.

აი, მაშინ დაიწყო დიდი საქმე: საბჭოთა ხალხი თავს იყრიდა უქმე დღეებში, ანდა მუშაობისაგან თავისუფალ საათებში, რომ უანგარო შრომით დახმარებოდა თავის ქვეყანას.

ეს საქმე წამოიწყეს ყაზანის რკინიგზის მუშებმა 1919 წლის 10 მაისს.

ისინი ნებაყოფლობით, თავიანთი სურვილით შეუდგნენ «ორთქლმავლების სასაფლაოს» გაწმენდას. ეძებდნენ გადარჩენილ ნაწილებს, ცდიდნენ შეშით და ნახშირით დატვირთულ მატარებლებს. თავდაპირველად ასეთი ნებაყოფლობითი სამუშაოები სრულდებოდა შაბათობით, ამიტომ იყო, რომ იმ დღეებს, როცა საბჭოთა ადამიანები ამ სამუშაოებზე იკრიბებოდნენ, ეწოდებოდა შაბათობები.

ყაზანის რკინიგზელთა მაგალითით სხვა ქარხნებმაც დაიწყეს შაბათობების მოწყობა.

ხოლო 1920 წლის პირველი მაისი გამოცხადებულ იქნა მთელი რუსეთის შაბათობის დღედ. ამ სადღესასწაულო დღეს მუშაობდნენ ყველგან, დაწყებული კრემლიდან და გათავებული სადმე შორეული ციხიბირის მუშათა დაბით. მაგრამ სამუშაოზე ხალხი ისე მიდიოდა, როგორც ზემიზე.

ამ დღეს, დღის რვა საათზე, კრემლში სამჯერ ზედიზედ დაიქუხა ზარბაზანმა. მუშები, მოსამსახურეები და კრემლის სამხედრო სკოლის კურსანტები მოედანზე გავიდნენ. როდესაც ყველა რიგში დაეწყო, რათა სამხედრო მწყობრით წასულიყვნენ სამუშაოზე, კრემლის კომენდანტმა თქვა: ამხანაგი ლენინი მიოდის შაბათობაში მონაწილეობის მისაღებად.

ვლადიმერ ილიას-ქემ ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა მწყობრს.

სამხედრო სკოლის კომისარმა სთხოვა მას, რომ როგორც უფროსი, მწყობრის თავში მარჯვენე ჩამდგარიყო. ლენინი მაშინვე ჩადგა იქ, სადაც მას მიუთითეს. გაისმა ბრძანება:

— მწკრივებო, მოეწყვეთ!

და შემდეგ:

— მარჯვნივსაქენ, ნაბიჯით იარ!

მუსიკის ხმაზე, ფხაწყობით, სამხედრო ნაბიჯით გაემართნენ კრემლის იმ ადგილას, სადაც ეყარა მორები, ქვები, ფიცრები, ნაკავი. იქვე ეყარა დამტვრეული ოთხთვალბები; მიწაზე მოჩანდა ყუმბარებისაგან დათხრილი ორმოები. ყოველივე ეს დაჩენილიყო დიდი ოქტომბრის რევოლუციის დროს თეთრგვარდიელებთან ბრძოლის შემდეგ.

საჭირო იყო ერთი დღის განმავლობაში კრემლის მთელი მოედნის გაწმენდა და წესრიგში მოყვანა.

ჯერ მორებიდან დაიწყეს, თითოეული მორის წაღება უხდებოდა ორ კაცს, ზოგჯერ კი ოთხსაც, თუ კი მორი ძლიერ დიდი იყო. ლენინი მუშაობდა ერთ სამხედრო პირთან ერთად. ის სულ ცდილობდა ლენინისათვის მსუბუქი ბოლო მიემარჯვებინა, თვითონ კი მორის მძიმე ბოლოს ეწეოდა, მაგრამ ვლადიმერ ილიას-ქემ ეს მაშინვე შეამჩნია და პირველი დასწვდებოდა ხოლმე მორს.

მაშინ სამხედრომ უთხრა:

— მე ოცდარვა წლისა ვარ, თქვენ კი ორმოცდაათისა.

ლენინმა გაიღო მხარზე მძიმე ბოლო და ჩაიცინა:

— მაშ ნურც მეკამათებო, თუ კი უფროსი ვარ. გადაზიდეს მოედნიდან მთელი მორები და ახლა ხელი მიჭყვეს მუხის უზარმაზარ კუნძებს, — ჯოხებზე დებდნენ და ექვს-ექვს კაცს მიჭქონდა. იოლი სამუშაო არ იყო; გამოცდილ მუშებსაც კი სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ.

ახლა ვლადიმერ ილიას-ქესთან ერთად სამი კურსანტი და ორი მუშა მუშაობდა.

ერთმა მუშამ უყურა, უყურა ლენინს და ბოლოს თქვა:



გ. ი. ლენინი სრულიად რუსეთის შაბათობაზე 1920 წლის ბირველ მაისს კრემლში.

— ვლადიმერ ილიას-ძეც! ამ საქმეს უთქვენოდაც მოვერგეით, თქვენ უფრო დიდი საქმეები გაქვთ.

ვლადიმერ ილიას-ძემ უპასუხა:

— ახლა ეს საქმეა ყველაზე დიდი.

კაშკაშა მზისა და იმის გამო, რომ გვერდით ვლადიმერ ილიას-ძე მუშაობდა, ყველა გრძნობდა: ეს დღევანდელი მუშაობა — მხიარული დღესასწაული იყო.

თითოეულს უნდოდა მუშაობაში თავის გამოჩენა. გაისმოდა ხუმრობა, სიცილი, სიმღერა. ყველა ცდილობდა ლენინს არ ჩამორჩენოდა.

ბოლოს, დაიღალნენ და დასასვენებლად და თამბაქოს მოსაწევად ჩამოსხდნენ.

ვლადიმერ ილიას-ძე თამბაქოს არ ეწეოდა და თითქოს დასვენებასაც არ აპირებდა. ხან საათს დასხედავდა, ხან დარჩენილ მუხის კუნძებს და ქვების გროვებს. ბოლოს, მაინც მიუჯდა ამხანაგებს. ვიღაცამ მას ბაპიროსი შესთავაზა. ლენინმა უარი თქვა და უამბო, რომ მან თამბაქოს წვევა გიმნაზიაში სწავლის დროს დაიწყო, მაგრამ მალე მიანება თავი

და მას შემდეგ აღარ ეწევა. ყველას უზაროდა ვლადიმერ ილიას-ძესთან დიდხანს საუბარი, მაგრამ მან ისევ ამოიღო საათი: როგორც ჩანდა, სადღაც მიეჩქარებოდა.

დასვენების შემდეგ შეუდგნენ ქვების გროვისა და ნაგვის ორხელათი გადაზიდვას.

ლენინი ჩქარობდა, ცდილობდა კიდევ უფრო სწრაფად ემუშავა, მაგრამ შაბათობის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მაინც მოუხდა წასვლა! იმ დღეს საძირკველს უყრიდნენ კარლ მარქსის ძეგლს და ლენინს ელოდნენ.

სამუშაოც ცოტადა დარჩათ მოედანზე.

ისიც სწრაფად მოათავეს და დაღლილები, თან ძლიერ კმაცოფილები დაიშალნენ. ყველა დარწმუნდა, რომ ამ დღეს მათ ჭეშმარიტად დიდი საქმე გააკეთეს: შემდეგ შაბათობაზე უფრო მეტი ხალხი გამოვიდა; აღსდგებიან ახალი მილიონები ყველგან, თვალწევდენ საბჭოთა ქვეყანაში.

თარგმნა მახვალა მრმვლიშვილმა



იოსებ ნონაშვილი

ნახ. გ. ფაცხოშვილისა

სოფელი გორკა

ბოემა

1.

ვინ მოსთვლის ქვეყნად რამდენი არის სოფელი ასეთი, შექმნილი ტყით და ჭალებით, ყანებით — მოხასხასეთი. ტანაშოლტილი ფიჭვები დგანან ასწლოვან მუხებთან და ნაძვანას, როგორც ჭაღარა, თეთრი არყის ხე უნდება. ტყის პირად ლიანდაგია და ორთქლმავალი გაჰყვირის. შორს მოჩანს დიდი ქარხნების მიწები ცაში აყრილი. იქვე პატარა მდინარე, ნავი, მობმული ნაბირზე. ვეჯილში ქარის წისკილი თითქოს გაფრენას აპირებს. ელექტროწაკიდებული სახლები ნაშუქურთმევი, მწვანე ველები... რუსული მშენებნა ენით უთქმელი. ვინ მოსთვლის ჩვენს დიდ ქვეყანას მთებით, ტყეებით მოფენილს, ამშვენებს მართლაც რამდენი ასეთი კოხტა სოფელი. მას რატომ არის რომ ყველგან გაისმის მისი სახელი,

რომ განუწყვეტელ ნაკადად მნახველს მიჰყვება მნახველი? სოფელი გორკა საქვეყნოდ იმითმ გამოიჩინა,— სიცოცხლის ბოლო თვეები იქ გაატარა ლენინმა. მეც გული მისკენ მიწვედა, მეც იქით მივისწრაფოდი, ხავერდის ტრამალს მივდევდი ასფალტის დანით გააბობილს. მხედებოდნენ ბერიკაცები გრძელი, ქათქათა წვერითა. ვინ იცის, იქნებ ბევრ მათგანს უსაუბრია ლენინთან. დილა იყო და ტრაქტორებს ხედებოდნენ გრცელი ველები. სკოლისკენ მიიჩქაროდნენ პატარა ლენინელები. ახალ დღეს შრომით იწყებდა სოფელი ღამენათევი. გულზე მზედ გადაჰფენოდა დიდი ლენინის ნათელი.

2.

გორკა რუსეთში იშვიათ მაღალ გორაკზე ყოფილა. რა ახლოს არის მოსკოვთან, მაქანა სწრაფად მოფრინდა.

აი ის სახლიც... გარშემო ბალი არტყია ვეება. აქა-იქ ლერწმით დაწნული სკამები მოჩანს ხეებთან. მღუმარედ დგანან ხეები, თითქოს ფიჭრებით მოცულან, მაგრამ ხალხის ხმა გუგუნებს, რამდენი ხალხი მოსულა! რუსები, ბელორუსები, დევკაცებს მისათვალეში, გულმოქარგული კაბეებით უკრაინელი ქალები. აგერ სომხები... ჩუვასია... სკოლამდელელები პაწია. პა, უზბეკებიც, ბრტყელშოლა ხალათები რომ აცვიათ. ლატვიელები, კარელები, ქართველები და ოსები, ქუდმობილები მხარიმხარ დგანან ლენინზე ოცნებით. აგერ ჩინელი გმირბები და კორეებიც აყები. მათი სიმტკიცე დასწკვკვა მტრმა თავისი გამჩენი. აგერ ჩემი და სლოვაკი, ბულგარელი თუ უნგრელი, ლენინის სიბრძნის მახვილი ვინც დასცა მონის უღელი.

ვინც კი ეწვევა დიდ მოსკოვს.
მოსკოვს — ქალაქთა გოლიათს,
პატარა გოგონაც არ ნახოს,
აბა ვის გაუგონია.
და აი, ზალის ბოლიკით
ნიღინელ მივმართებით,
მიგვაცილებენ ხეები
სუროს შრიალა კალთებით.
სხვადასხვა ერის ვაჭაყებს
ხეიხილელ ჩაგვიცილია,
ერთი ფირით და ოცნებით
ბრძენის სახლისკენ მივდივართ.
სხვადასხვა ერის შვილები
შეგვრულებართ, როგორც კედელი.
ლენინი იყო ამ ქობის
პირველი გამომჟღავნელი.

3.

ზალს ვარდისფერი ბილიკი
შემოვლენია არშიად.
აქ სოფლის ზაგვებებს ილიჩთან
რამდენჯერ უთამაშნიათ,
მაღში მრავალი ხე არის,
ზაგვამ ერთია ტყეული,
ჩგა საუკუნის მუხა დგას
ბებერი, დაყოფრებული.
ამბობენ, მუხა მოსკოვის —
დიდი მოსკოვის ტოლია.
ხისაც კი თითქოს რუსული
სიმტიყე გამოჰყოლია.
მუხის ძირს ერთი სკამია,
ამ სკამზე, აბა ვინ იცის,
ხალხისთვის ჩაფიქრებული
რამდენჯერ მუდარა ილიჩი.
ეზოში მოჩანს პატარა
გარაკი კარბევასხნილი
გარაკში არის მანქანა,
გვერდით რუსული მარხილი.
ის ამ მანქანით მიჰქროდა,
მაგრამ, ვინ იცის, იქნება
მანქანის ქროლვას რამდენჯერ
გაასწრო მისმა ფიქრებმა.
რამდენჯერ ველზე მარხილი
მოჰქროდა, როგორც ირემი,
რედნენ მარხილის ზარბი,
მოჰქონდა ნანადირევი.
შიგ იჯდა დიდი ლენინი,
შემოთვლილული ფიქრებით
და განთიადის ზარებად
რედნენ ლენინის ფიქრებიც.
აი, ნავი და ნიჩაბი,
ვეყურებთ, როგორც სავანძურს.
ამ ნავით უსერიანია
ლენინს შრომისგან დაქანცულს.
მიჰყავდა ნავი ბაწია,
ცოვი მხეფები ეყარა,
მას ვისაც, როგორც ხომალდი
მიჰყავდა მთელი ქვეყანა.

4.

ვხედავთ დროების ფრიალს და
ხელებს თავზევით აწეულს.
ბაღში შეკრება ჰქონია
პიონერების რაზმეულს.
ეს მათი ხმები წკრიალებს,
ზანს აძლევს ვრცელი ველები.
ლენინის სახლთან ფიცს სდებენ
პატარა ლენინელები.
ფიცს სდებენ იყვნენ სწავლაში,
შრომში დაუზრახველნი
და ღირსეულად ატარონ
ლენინელების სახელი.
ფიცს სდებენ იყვნენ ბეჯითნი,
ერთგულნი, ამნანაგურნი
და კომუნისმის შენობას
მათაც შემატონ აგური.
ფიცს დებენ კეთილად,
მტრულად დაუხედნენ მუხანათს,
ისე უყვარდეთ სამშობლო,
როგორც დიდ ლენინს უყვარდა.
ეს მათი ხმები წკრიალებს,
ზანს აძლევს ვრცელი ველები,
ლენინის სახლთან ფიცს სდებენ
პატარა ლენინელები.

5.

ამ აიგინიდან უცქერდა
ველებს, გაუფილოს ნობიფისთ,
აქ ისვენებდა ილიჩი
შრომით და ბრძოლით მოღლილი.
ამ ზაგვასთან ლენინი
წერდა სიცოცხლის ბუკარებით
და შეუძლებოდა ნაწერი
აზრების მინანქარებით.
რა ძვირფასია ყოველი,
ვდგავართ და დიღხანს ვუცქერით.
გვაღელვებს წიგნიც, ქაღალდიც,
დაუწერილი ფურცელიც.
ვდგავართ და დიღხანს ვუცქერით,
თითქოს სიამით ვიზრდებით.
ავერ წიგნია გორკისა
და ჯექ ლონლონის წიგნები.
ჩვენ თვალი ვეღარ მოვწყვიტეთ
სურათით ცნობილ სავარძელს.
ამ სავარძელში გორკისთან
უსაუბრია მრავალჯერ.
ეს საჩუქრები მიაართვეს
ლენინს საბავშვო სახლიდან.
გაიღიშებოს ილიჩი
ჩვენი ხელსაქმის ნახვითა.
ეს ხომ ცნობილი სკამია,
თუთარა რომ გააქვს კრიალი.
ამ მუდარა ორი ბელადი.
ორი მზე ადამიანი.
გარდასულ დღეთა დიდება
ბულუქ იფეთქებს ალოთი
და თითქოს გვესმის ლენინთან
როგორ საუბრობს სტალინი.

6.

სდუმს კედლის დიდი საათი,
ისარდახრილი, უცვლელი.
რა გულსაკლავად ჰკიდა
კალენდარს ერთი ფურცელი.
ვეყურებთ, თვალს ვერ ვუწივრებთ
თარიღს — 21 იანვარს,
მატრკო კალენდარს კი არა,
გულზეც გვატყვია იარაღ-
ამ სარცელზე, ამ სახლში
ოვალი დახუბა ბელადმა.
დაიღონდა გული ზალხისა,
თვალზეზე ტრემლი ელავდა.
მაგრამ ლენინის კუბოსთან
სტალინის ფიცი გაისმა.
ფიცი იყო თუ ზღვის ღელვა,
გუგუნეი ქარიშხალისა.
სტალინთან ერთად ფიცს სდებდა
მთელი საბჭოთა კავშირი,
რომ ძირს არ დახრებოდა
ლენინის დროშა გაშლილი.

7.

ლამის გულიც კი მკერდიანს
უყვრად ამოგვიფრინდა...
დიდი ლენინის ხმას ვისმენთ,
შემოუნახავს ფირფიტას,
რამდენი სითბო, სიმტიყე,
ცეცხლი, ლტოლვა და ალერსი
ბგვედრება გულში, როდესაც
ილიჩის სიტყვა ჩაგვესმის,
ეს ხმა ჩვენ გულებს გვინათებს,
მტრისთვის ხმალივით მჭრელია.
ეს ხმა მტიკეც და ძვირფასი,
სტალინის ხმაში გვესმის.
ეს ხმა დაზგების გრგვინვა,
ტუხილი არის მაისის.
ეს ხმა მშვიდობის მომხრეთა
ღელვა-გუგუნვით გაისმის.
ეს ხმაა, როცა შრიალებს
ესნებით თავთუხანი,
ყანბა ზვირთქემის ხმა არის
და ქარიშხალთა გრიალი.
და რაკავს, რეკავს ზარივით
მიმომჟანტველი წყვილიანის
ლენინის აზრი ნათელი,
ლენინის სიტყვა დილია.

8.

ჩვენც ეს ხმა მიგვაცილებდა
ლენინის სახლს რომ ვტოვებდით,
მიგვაცილებდნენ ნაძვები
ხავერდოვანი რტოებით.
შიგ მიდიოდნენ სიმღერით
პატარა ლენინელები
და ზანს აძლევდნენ გუგუნით
რუსეთის ვრცელი ველები.
მიჰქონდათ დროშა წითელი
ლაღად გაშლილი კალთებით
და გულზე გადაჰფინოდით
დიდი ლენინის ნათელი.



ალექსანდრა გომილაშვილი

გომილოცხნია ახალი წელი

ეს წელიწადიც დასრულდა ძველი,
მიწის სურხელით გაღლებული, —
ზღვსავით დღეებს სამოთხლო მთელი,
დოვლათი ჩვენი, ხვალი მთებური.
და როგორც ქვეყნ-დ ნათელი ვრცელი,
ოცნება ცამდე ამაღლებული, —
ნელა შემოდის ახალი წელი
ცის გაოსკვლავებით განათებული.

ახალი წელი ფიქრი ცხოველი
ჩვენს გულში ხ. ტავს ახალ სურათებს, —
კრემლის ვარსკვლავის შუქი მთოველი
მეკვლეს ბილიკებს გადაუნათებს;
თეთრად ქათქაიებს რგველი ჯოველი,
თოვლის ფ. ტელი დაჰფენია ტვეოს
და ჩემს ბინაშიც ახალი წელი
შემიპყავს მაღალ კრემლის კურანტებს.

დიდება შენდა. სამშობლოვ ჩემო,
ზეიმობს შენი შთამომავალი.
ზეიმობს ხალხი და ამ ზეიმში
მრავალე მიერს ამბოსს მრაველი:
— მომილოცნია ახალი წელი! —
გუგუნეს მეკვლი ქვეყნ-დ მავალი.
და ამ გუგუნეში ხმას აძლევს აწყყოს
ჩვენი წარსული და მომავალი.

ვახტზე დამდგარა კავკასი მთელი
ორი ზღვს-შუა გაშლილი ფრთებით:
სომებს ახარებს ქართვლის ნათელი,
ქართველს — შუქური სომხეთის მთების...
აქ სხვახაირად ამოდის მზეო,
ბოდღვილებს ახალ შუქში ბინები
და მიიწვევს ღრუბლების ზემოთ
ნავთის ქალაქის ჭაბურღილები.

შენც. ჩემო ლექსო, არწივის ფრთათ,
ახალ სიმღერის თაო და თაო, —
გაიშორალე ზეცაში ლაღად,
გადაიარე ყაზბეგის მთათ.
თოვლში და ქარში გზა გაიმოკლე,
ველებისაკენ გააქურ ზეკარი, —
გასჭერ მანძილი... და როგორც მეკვლემ
სოფლად, ქალაქად შეაღე კარი.

თქვი გამარჯვების საგალობელი —
ძლიერი. ლაღი, ნათელი, ვრცელი, —
გადასახოდე სოფელს სოფელი:
«მომილოცნია ახალი წელი!» —
და გაისმოდეს ამ სამ სიტყვაში
კრქელის ზაოივით სიმღერა წრფელი, —
მაღალი, როგორც ლაქვარდი მთაში,
უსაზღვრო, როგორც რუსეთის ველი..



გრიგოლ რიკოვანი

ნახ. გ. თოთბაძისა

მეორე ოჯახი

მ ო თ ს რ ო ხ ა

ახალი ნაწევმარი იყო. მთვიარის შუქზე შავად ბრწყინა, და მიწა, ღობეები, სახლების ხავსმოკიდებული სახურავები. კირით შეღესილი კედლები კი თითქოს უფრო გათეთრებულობოყვნენ.

სახე მთვარე დაშურებდა სოფელს. ცა ისე იყო მოქედლი ვარსკვლავებით, გეგონებოდა, რაც წინათ მნათობები იყო, ერთი იმდენი კიდევ შემატებულია უცვლად.

მიტო ბუქლიშვილი კოლმეურნეობის ბაღში ვაშლის ხეთა მჭკრიავეშუა მიდიოდა. ზოგან ხეხილის ჩახლართული ტოტები ზეცას თითქმის ფარავდა და მიტოს ერთმანეთში ერეოდა წვიმით შეწინწკლული თეთრ-ვარდისფერი ყვავილები და ვარსკვლავები.

კოლმეურნეობის კანტორისკენ მიიჩქაროდა მიტო. ნახნავში ფეხი ეფლობოდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა. მის ზევით დაუსრულებლად მიცურავდა სურნელებით გაჟღერებული მოკაფე, ქათამთა ნაირფერი ყვავილები.

მიტო ბაღიდან გავიდა და იქვე ორდობეში შეუხვია. ცოტა გაიარა თუ არა, შორიდან ამხანაგების ხმა მოესმა.

შუა სოფელში, კლუბის წინ, გზის პირზე ბებერი ქადარი იდგა. ქადრის ქვეშ გრძელი მორა იდგა. ბებერი ქადარი და ძველი მორა სოფლის ბავშვების საყვარელი ადგილი იყო.

გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე, კვირაში ორისამი ხალამო ისე არ გავიღოდა, რომ ბავშვები ქადრის ქვეშ არ შეკრებილიყვნენ.

რა არ ეწყობოდა აქ: გზეთების ნამაღალი კითხვა, წიგნების განხილვა, ამოცანების ამოსხნა და მაგალითების გამოყვანა, შიორბა. მყვეზოდნენ ზღაპრებს, იმართებოდა ცეკვა, ქილობა, თამაშობდნენ ლახტს, ოთურმას.

ამხანაგებიდან მხოლოდ მიტო არ ესწრებოდა დღევანდელ შეკრებას. მამა მინდვრიდან კოლმეურნეობის კანტორაში წასულიყო კრებაზე და მიტო აქამდე ოჯახის საქმეებს შერჩა: დააბინავა პირუტყვი, მოამზადა ვახშამი, მერე გამოკეტა ხახლი და კანტორისკენ გასწავა.

მიტოს დედა თუ ბუქლიშვილი გორში აგროტექნიკოსთა კურსებზე სწავლობდა და ოჯახი მიტოს ებარა. ის ტრილებდა შინ სკოლაში წასვლამდე და საღამოს მამის მოსვლამდე, თუ მამას კრებაზე დაიბარებდნენ, მიტო ადრე მოათავებდა ოჯახის საქმეს და კანტორაში მიაკითხავდა.

მიტოს მამა ნიკო ბუქლიშვილი მეხილეობის მეცტრე ბრიგადის ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობაში და გამგეობის წევრიც იყო.

მიორე წელი სრულდებოდა რაც მიტო გამგეობის კრებებს ესწრებოდა. მივლდებოდა ხოლმე თაბის კუხრში ან ფანჯარასთან და ისეთი ცნობისმოყვარეობით და ყურადღებით უსმარდა თავმჯდომარის, პარტორგანიზაციის მდივნის, ბუღალტრის, ბრიგადირებისა და მერგოლურების სიტყვებს, თითქმის სკოლაში ვაკციეოთ უფლებდა უყრს.

ხშირად კოლმეურნიების თავმჯდომარე ძია თედო და პარტორგანიზაციის მდივანი გიორგი ირემმაზე თვალს რომ მოჰკარგებდნენ მიტოს დაფიქრებულ და ცნობისმოყვარეობით განაბულ სახეს, უნებლიეთ გაედღებოდათ, „შენ რას ბტყვი, მიტო, ამ საკითხზე?“ შკითხვადნენ სეროშული კილოთ.

მიტომ იცოდა, არ დაცინდნენ თავმჯდომარე და მდივანი, გულწრფელად ეკითხვოდნენ. მათ იცოდნენ, რაც კი ქართულად წვიან თუ ბრძოლაში გამოიღოდა სოფლის მეურნეობაზე, მიტო ყველაფერს კითხულობდა.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მას არახილდეს არ გაუცია ძმა თედოს და გიორგის კითხვაზე პასუხი. იგი მორიდებულთა და დედაქვერდით ბავშვი იყო და უფროსების საუბარში იშვიათად ჩაერეოდა. ერთხელ კი პარტორგანიზაციის მდივნის შეკითხვაზე გულმა ვერ მოუთმინა, წამოაღა და ისე როგორც სკოლაში მასწავლებლის წინ, წინაფის ჩვეული ხილნიჯით უპასუხა.

იმ დამეს გამგეობა ბრიგადირებთან და მერგოლურებთან ერთად მიწების მორწყვის საკითხს იხილავდა. ჭანდრიანის მიწები მიწწყვი იყო და ამიტომ აქ მუდამ დაბალი მოსავლის იწყვდნენ. ჭანდრიანი ტირიფონის არხიდან შორს მდებარეობდა, კოლმეურნიებამ მხოლოდ შარშან გამოიყენა იქიდან წყალი.

ჭანდრიანელებს რწყვაში გამოცდილება არა ჰქონდათ, არც გვრონი გამოვლათ ამ საქმის კარგი მცოდნე და რწყვის თავი ვერ დააღება. წყალი პირქვინდად რცხავდა მიწის წედაიანი, ფიტავდა ნიდავს.

მეზობელ სოფოლში — დედოფლისკალში ნორჩი მებაღეებს ორი შეტყობი ბაღი და ბოსტანი ჰქონდათ. ნორჩი მებარნელები უმთავრესად სოფლის პიონერების წევრებისაგან შედგებოდა. მათ სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდათ სტავროპოლის მხარის სოფელ ლუწოვის ნორჩი მებაღეებთან.

ორი სოფლის ქართველი და რუსი პიონერები ყველა თავის მიღწევის წართველით უზარებდნენ ერთმანეთს. უგზავნიდნენ ერთმანეთს ბოსტნულის, დეკორაციული მცენარეების და ყვავილების თესლს.

შარშან ლუწოვლები მთელი ერთი კვირით ესტუმრნენ დედოფლისკალელებს. ლუწოვლები აღტაცებაში მოვიდნენ ქართველი პიონერების ბაღითა და ბოსტანს. სტუმრებს განსაკუთრებით ზესტავაშვილის მიერ გამოყვანილი ახალი გვიშის ატომი მოეწონათ, თან წაიღეს მისი კურკა. შემოდგომაზე ნერგებასც გამოავიზავნითო, შეპარდნენ დედოფლისკალელები. და დადგა თუ არა შემოდგომა, ორასი ძირი ნერგა ჩააწყვის უუთხობი და კოლმეურნიების გამოცდილები მებაღის ხელონ გაგზავნეს ლუწოვში.

მიტო გავსენ დედოფლისკალში ბიძასთან იყო. ნორჩი მებაღეებს, თურმე, დღითი ლუწოვოდნენ წერილი მიეღოთ. ატომის ნერგებს მშვენივრად დავაუტანათ შარშარი. მოკითხვისა და მადლობის შემდეგ ისინი წერდნენ: „შარშან თქვენ და თქვენს მეზობელ კოლმეურნებს არხი გაგყავდით, თქვენ ალაბო უკეთ ვაქო წყალი. ჩვენ კი თორმეტი წელიწადია, რაც არხი ვავიყვანეთ და მხოლოდ ახლა ვავიგეთ, თუ რა სასწაულის მიხედვით შეუძლია წყალს. ეს იმიტომ, რომ რწყვის ახალი წესი შემოვიდით. მიწები პატარა საწყავ ნაკეთებდა

დაყვავით და გამანაწილებელი არხებით ვრწყავთ. ამით იგიდან ავიტოვებ ნიადაგს გადარცხვა. წყალი იცვო იწყებდა და გამოვტობს ნაცვლად ანოყურებს ნიადაგს. ამ წერილის შინაარსი მიტომ დაწერილებით მოუთხრო ვაშეუბოხს და თავისი სიტყვა ასე დაასრულა:

— თურმე, ლუწოვოს კოლმეურნობა ასე რწყავს მიწას. რუსი ნორჩი მებაღეები ურჩვენ დედოფლისკალელებს, ამ წესით მორწყან ბაღი და კოლმეურნობასაც გააცნონ ეს წესი.

ყველა დაინტერესდა მიტოს ნათქვამით. თავმჯდომარე თავის „მისკერში“ ჩასვა მიტო და დედოფლისკალში აგვრინა წერილის მოსატანად, რათა თავისი თვლით წაეკითხა იგი. ერთი საათის შემდეგ ლუწოველი ნორჩი მებაღეების წერილი მაგადაწე ელო ძია თედოს.

წერილში რწყვის ახალი წესი უფრო დაწვრილებით იყო აღწერილი. სახეგარწყენებული და ვახარებული მიტო შესცქერდა თავმჯდომარეს, ბრიგადირებს და მერგოლურებს.

— ძან არ მოუფიქრებიათ ამ დედოფლისკალზე? — თქვა კმაყოფილებით პაპა ტიმოთე, როდესაც წერილის კითხვა მთავდა. ტიმოთე თავისი გრძელი წვერის გზო ეძახდნენ პაპას, თორემ არც ისე თვლი ხნისა იყო — მიწერ-მოწერითა, ბავშვებისა კი არა, პროფესორის ნაწერი გავლდა.

— არა, პაპა ტიმოთე. ეს ლუწოვლებმა კი არ მოიფიქრეს, შეცნიერებმა გამოიმუშვეს. — შენიშნა ტიმოთეს მიტომ.

იმ სულერთია, ვინ გამოიგონა, — მოყოლა პაპა ტიმოთემ მიტო და ჩვეულებისამებრ წვერზე ბრტყლად ჩამოსივდა თავისი კორძიანი, მზისაგან გარუჯული ხელი, — ვხლავამ მოიგონა, კარგად მოეგონა, — საუვედურით შეხედა მიტოს: — შენ ისა თქვი, რატომ თქვენს პიონერაზებს არა ჰყავს ნორჩი მებაღეები? არა გაქვთ ბაღი, არა გაქვთ არავისთან მიწერ-მოწერა. სომ ხედავ, რა ნაყოფი მოჰქვს გამოცდილების განხორბებს. ვინ იცის, იმ დედოფლისკალის ბავშვებს რომ ამ მოწერათ დედოფლისკალელებისათვის წერილი, როდის მოაღწევდა ჩვენამდე ეს ამბავი.

კრებიდან დაბრუნებულმა ტიმოთემ მთელი დამე თეთრად გათიხა, „გვერ, მეზობლად, უყრისძირში. დედოფლისკალში, ნორჩი მებაღეები არიან. ისეთი ბაღი და ბოსტანი აქვთ იმ ბაღლებს, რომ კაცი უკეთეს ვერ იხატებს. რუსეთთან აქვთ მიწერ-მოწერა. მათ საქმეს და ამბავს აათხი კილომეტრის იქით იტოვებ. ჩვენ? ჩვენს ბაღებს რატომ არა აქვთ ბაღი? ჩვენ რატომ არა ვავყავს ნორჩი მებაღეები?“

არ შეიძლება იუქავს, რომ პაპა ტიმოთე შურიანი იყო. მას შემდეგული ოჯახი ჰქონდა. კმაყოფილი იყო თავისი მდგომარეობით. მოულოდნელად იცი კაცი რომ სტუმრებოდა, ტიმოთე იგი გაუმასპინძლებოდა, გარედან არა ღვრის მოტანა არ დასტურდებოდა. იყენენ უფრო შემტებული ოჯახებაც ჭანდრიანში. მაგრამ ისინი მხოლოდ ახარებდნენ ტიმოთეს და არასოდეს შეუშვებია მათი ბედი და მდგომარეობა.

პირად საქმეთი ალალი გულისა იყო, სხვისას ავი თვლით არ შემეხდებოდა. სასოფლო საქმეში კი თავისი თავს არა ჰგავდა ტიმოთე. აქ წინ არავისი ვაშევაბა არ უნდოდა. მეზობელი კოლმეურნობა მეტ მოსავალს რომ აიღებდა, ცუცხლად შემოინთებოდა გულზე. თუ იქ ახალ ბოსტელს, ან საწყობს ააშენებდნენ, მთელი კვირა გუნებაზე იყო გავჯობებს, უკუდევრში ჩვენზე წინ არიან, შენდებთან, ვართოდებთან, ყველა კი ერთ ადგილას ვავიყენითო, — ბუზღუნებდა შინ და გარეთ.

მისი ასეთი საქციელი ბევრ კარგ რამეს აკეთებდა. კოლმეურნობაში შენდებდა ის, რის აშენებასაც არ აპირებდნენ

იძენდნენ იმას, რის შემენასაც არ ფიქრობდნენ. მოსავალი იწვედნენ იმაზე მეტს, რაც გვემით ჰქონდათ გათვალისწინებული.



* * *

ჯერ თეთრად არ იყო გათენებული, როცა პაპა ტიმოთე კოლმეურნიეობის თავმჯდომარეს მიადგა კარზე. მან ლოგინში მიუხსრო თელს.

„რადღაც ახალი აიტენა პაპა ტიმოთემ, — გაიფიქრა თელსმ და წამოვიდა.

— რამ წამოგადლო, პაპა ტიმოთე, ასე უთენია? — ჰკითხა თავზე წამოღმადარ ტიმოთეს და ხალათი გადაიკვა.

— შუალდემდე რომ ვითრევე წელს ლოგინში, იმიტომ მიგვიდის კარგად საქმე.

— რაო, რა დაგვეჩართა?

— ცა არ დაგვეცემა თავზე...

— თორემ მიწა კი გავგისკდა, არა? — ჩამოართვა სიტყვა თელსმ.

— მაშ არა? — მიუგო პაპა ტიმოთემ თავმჯდომარესკ და ლოგინზე ჩამოვიდა. წვერზე ცვრის ვერცხლისფერი წინწყლემი უხრწყინავდა. — ერთი ეს მითხარა, რატომ უნდა გვეჯობინდეს ჩვენ დედოფლისკალო?

— ვინ თქვა, რომ გვეჯობინს? — გაიცივრა თელსმ.

— გვეჯობის, მაშ არა? ვერა ხედავ, ცხრა მთას იქით ჰქონიათ მიწერ-მიწერა მათ ბაღებს. იმათ რომ მიწერ-მიწერა არა ჰქონიათ, როდის გავიყვებით ჩვენ რწყვის ახალი წესის ამბავს?

— გავიგებდით, ადრე თუ გვიან, — განგებ ვუღვრიალად უპასუხა თელსმ. იცოდა, იფიქრებდა პაპა ტიმოთე, და იფიქრებდა.

— ზო, ადრე თუ გვიან რა გვაჩქარებს, მოსავალი თავზე გადაგვის, სახვე ვართ უელამდე. რატომ ჩვენს პიონერებს არა აქვთ ბაღი?.. რატომ არა გვეცის ნორჩი მებაღეები? ნაკლები ბაღლებია ჩვენს სოფელში, სკოლა არ გვივარგა, თუ მასწავლებლები? მიწა არ გვეყოფის, თუ ნერგებია და იარაღით ვერ დავემარებით ბავშვებს?!

— ყველაფერი გვაქვს, პაპა ტიმოთე, ჩვენი ბაღლები არაფრით ჩამორჩებიან დედოფლისკალოს ბავშვებს, მაგრამ ახლა ჩვენ მაგის დრო არა გვაქვს. ახლა თესვა, თესვა და თესვა!

— თესვა თავისი გზით, და ჰუნარიანის ბავშვებისთვის სახალა მიწის გამოყოფა — თავისი გზით, — თქვა ტიმოთემ გადაწყვეტილი, თითქმის ბრძანებით.

სამი დღე ებრძოდა ტიმოთე თავმჯდომარეს, არ მოეშვა, სანამ ყველაზე კარგი მიწის ნაკვეთი არ გამოყოფინა ნორჩი მებაღეებისათვის. პიონერთა რაზმმა ნორჩ მებაღეთა მეთაურად მიტო ბუქულიშვილი აირჩია. ეგებულობსა და მეგობრებისათვის საქმის უკეთ მცოდნეს რაზმში აბა ვის ნახავდნენ.

ნორჩმებაღეთა წრეში ოცამდე გოგო და ბიჭი ჩაეწერა. შეგაროვებს ფული, გათიწერეს საპირი ლიტერატურა, კოლმეურნიეობიდან პაპა ტიმოთეს და პარტორგანიზაციის მდივნის დახმარებით მიიღეს ბარები, თხები, წოლდები, ფიწვლები, რა იარაღიც არ დასჭირდათ, ყველაფრით ხელი გაუშართა წრეს კოლმეურნიეობამ. იმ გაუაფხულსევე ბოტანიკის მასწავლებლის დახმარებით გაწმინდეს ნაკვეთი, შემოკლდეს, გაუყვანეს თხრები, დაჰყვეს კვლავად და გადაბარეს. ჰიშკარზე ცისფერი თუნუქის აპრა ჩამოკიდეს და ზედ მსხვილი ასოებით დაწერეს:



„ აბა, ვინ ამოსხნის გამოცანას? “

„ოლღე კოშევილის სახელობის სოფელ ჰუნარიანის ნორჩ მიწურინელთა ბაღი“.

ამის შემდეგ შეუდგნენ ხეხილის რგავს და ნაკვეთის ირგვლივ ქარსაცვის გაშენებას. სოფელი აღტაცებული იყო ბავშვების შრომით. პაპა ტიმოთე დღეში ხუთჯერ მიაკითხავდა ბატარებს. ზოგს თხრების გაჭრაში აძლევდა რჩევას, ზოგს — ღობის ჩაწვენში, ზოგს — რგავში.

ახე გააშენა ბაღი ჰუნარიანის პიონერთა რაზმმა. ამ დღიდან მიტოს კოლმეურნიეობის გამგეობის არც ერთი კრება არ გაუტრდინია. იგი ყოველ კრებაზე რამდენ ახალსა და სახიროსი შეიმჩნეა და ირგვლივ იდისა და მერგოლურების ნათქვამიდან.

* * *

— მინდორში ბოძი იდგა...
შეესმა მიტოს ბუებრი ჰუნარიანი, როგორც კი შარავნიდან მოედანზე გამოვიდა, თავისი ამხანაგის — რამეულის საბუხს თავმჯდომარის ლევან ვარდაშვილის ხმა.

კაშკაშა ღამე იყო. მთვარის შუქი სახეზე სცემდა მორზე ჩამოსხმად ბავშვებს. ზოგი ზურგიით იდგა მიტოსკენ.

— ბოძი თორმეტი მეტრის სიმაღლისა იყო, — განაგრძობდა ლევანი, — ბოძის თავზე ჰიანჭველა უნდა ასულიყო. იგი დღეში ორ მეტრს ავიდოდა და ერთ მეტრს ისევ დაბლა დაიწვედა. რამდენ დღეში მოეციეოდა ბოძის თავზე ჰიანჭველა?

„სიღან მოიტანს ხოლმე ლევანი ასეთ უცნაურ გამოცანებს?“ — გაიფიქრა მიტომ და ნაბიჯს აუჩქარა. არ უნდოდა ამხანაგებს დაეხანათ. გამგეობის კრება დიდი ხნის დაწყებული იგულეოდა და დავიანება აღარ ივარგებდა.
— ეს რა სულელი ჰიანჭველა ყოფილა! — გაიცინა ვილაცამ.

„შიამა გაციანა“, — წაიჭირულა მიტომ, — მართლაც, რა სულელი ჰიანჭველა ყოფილა, ნეტავ, რად იგრძელებდა გზას?

— აბა, ზი, ვინ ამოსხნის გამოცანას? — გაისმა ისევ ლევანის ხმა.

მიტო შუა მოედანზე მიდიოდა, მაგრამ უნებლიედ შედგა; იგრძნო, რომ ლევანი დამცინავი ღმილით შეჰყურებდა ამხანაგებს; ვერა, ვერ ამოსხნით ამოცანას.

„სკდებო, ლევან, მაგას ჩვენი „ნაგარიშა“ ამოხსნის.“ — ამის გაფიქრება-ღა მოახსროს მითომ, იმავე წამს ზაქაროს ხმაც გაიგინა:

— მე ამოვხსნი გამოცანას მაგ შენს უკუყო კიანჭველაზე, ლევან! — წამოღდა ზაქარი.

— აბა!

— მიდი, მიდი, „ნაგარიშა“.

— შენ თუ ეგ ამოხსენი, ზაქარი, მე მაია არ ვიყო, ჩემი ავტოკალიში თუ არ გაწუქი! — შესახა მაიამ, წამოფრინდა თავისი ადგილიდან და ზაქაროს გვერდში ამოუღდა.

— ამოხსენი, რაღა? — მიმართა ზაქაროს ლევანმა.

— მეთრამეტე დღეს ავა ბოძის თავზე შენი კიანჭველა.

— რატომ? — ჰკითხა ლევანმა.

— თავზე რომ მოექცევა, დაბლა ხომ აღარ დაიწევს? — მიუღო ზაქარი და მაიას მიუბრუნდა: — სიტყვაზე ხომ არ გადასვალ, ჰინკავ.

— თავი შემიტრცხვს მაშინ. ერთს კი არა, ორი ავტოკალიში რომ მქონდეს, ორივეს მოგცემდი, — თუხარა მაიამ ზაქაროს და თავი უბრტყელები შეანათა. მერე ლევანს მიუბრუნდა: — ემე, შენი ავტოკალიში ყურთ რომ გამომიქედ დღეს, ისეთი გამოცანა ვიცი, ეშმაკი ვერ ამოხსნის!

— რით არ არის ეშმაკი ეგ შენი „ნაგარიშა“, — ზურგი შეეკცია მაიას ლევანმა და თავის ადგილზე დაჯდა.

— ყოჩაღ, ზაქარი!

— რა უღებ ამოხსნა!

— ნამდვილი კუთის კოლფი ხარ, „ნაგარიშა“!

გაიხმა აქეთ-იქიდან ამხანაგების ხმა.

მიტოს გაეღმა. ეს მან შეარქვა ზაქაროს „ნაგარიშა“ მითღს სკოლაში ზაქარი ჯამაშვილი პირველი მოსწავლე იყო. არითმეტიკაში. იგი თვითონ ადგენდა მაგალითებს და ამოცანებს.

— აბა, ახლა ისიც თქვი, ზაქარი, ერთ მეტრზე რად იწევ-ღა დაბლა კიანჭველა? — დაუძახა მითომ მეგობარს.

ქადრის ქვეშ შეყრილები მიტოსკენ მობრუნდნენ.

— შენა თქვი, როგორც საქმეში ჩახედულმა კაცმა. — უბასუხა მეგობარს ზაქარომ, — მოდი, მიტო, რა შორიდან გვე-ლაპარაკები!

— არა მცალა, ზაქარი.

— გამეგებაში მიღის ალბათ საქმის კაცი! — გაიცინა მაიამ. — არ დაგაგვიანდეს, მიტო, ძია თელთ სხდომას უშენოდ არ დაიწყებს.

— შენ ეი, ჰინკავ, ენა დაიმოკლე! — შეუბღვირა ზაქარომ მაიას და წამოღდა. — ხვალ ავტოკალიში არ დაგაეწყედეს, — კულუმზეზე აუკრა ხელი და დაუბატა: — თორემ გავატან ნიაცხა...

უმაღლე მის ხელზე მაიას მოქნიულმა ხელმა ტაკცანი გაღიძრა.

მაია არავის არაფერს შეარჩინდა. ბიჭებს არაფერში ჩამო-უვარდებოდა. თამაში, სწრაფი და გამჭრიახი იყო.

მაიას მიერ გარტყმული ისე მწვავე იყო, რომ ზაქარომ უნებლიედ დაიხედა ხელზე, დარტყმული გაწითლებოდა.

— მწარე! — გაიცინა მაიამ. — უფლები კი დაენანა. მაგარი მომივიდო, გვიფიქრა.

ზაქარომ ხელი გვიბეში ჩაიყო და წრიდან გავიდა.

— დაიცა, მიტო, მეც მვდივარ გამეგებაში! — დაუძახა მიტოს.

— შენღა აკლდი გამეგებას, — ცვლავ გაიცინა მაიამ, მაგრამ უტებ დადგომს მოსწყდა, ზაქაროს დაეწია და ჩურჩუ-ლოთი თუხარა: — მანკით, ზაქარი; უნებლიეთ მომხვიდა, ეგრე მწარედ არ მინდოდა...

ზაქაროს კოლმეურნეობის ბულაპტერიიდან პაპანისის, გიგია ჯამაშვილის ფული მჭონდა მისაღები და ამიტომ გა-ცვა მიტოს. როცა ისინი კანტორაში მივიდნენ, კრება ახალი დაწყებული იყო. ოთახში პაპაროსის ბოლი იდგა. ღია კარე-ბიდან მიჩინდა გრძელი მაგიდის გარშემო მსხდომი გამეგე-ბის წევრები და ბრიგადირები. მაგიდის თავში პარტორიანი-ზაციის მდივანი ვიორგი ბუბურიშვილი იდგა და მოხსენებას აკეთებდა.

— დღეს საკარმიდამო ნაკეთებზე შამანური ჯიშის ვა-ზის გაშენების საკითხი დგას გამეგებაზე, — უნურჩულა მ-იტომ ზაქაროს.

ბავშვები ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ კარებს და იქვე შედგნენ.

— ჩვენდა სამარცხვინოდ, — ლაპარაკობდა ვიორგი ბოხის ხმით, — დღემდე ვერ გავახორციელეთ ცენტრალური კომიტე-ტის მითითება. ჩვენს კოლმეურნეობაში უმეტესად ქიწურაა გაშენებული. ახლა ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მი-ნათვის, რომ ვაზის ეს ჯიში სრულიად ამოიძარკოს პან-დრაიში და მის ადგილზე გორული მწვანე და ჩინური გაშენ-დეს.

პაპა ტიპოთემ შეამჩნია კარებთან მდგარი ბავშვები. შე-მოდიოთ, ანიშნა თავის დაქნევით და წვერზე ჩვეულებისა-მებრ ბრტყლად დაისვა ხელი. მიტოს და ზაქაროს მოერიდათ ოთახში არ შევიდნენ, პაპა ტიპოთეს მადლობის ნიშნად გაუ-ღიძეს და იქვე მდგარ გრძელ ვიორგზე ჩაიხსდნენ.

— ჩვენი კომუნისტებმა, ბრიგადირებმა და მერგოლურებ-მა ამ საქმეში სხვებს მაგალითი უნდა მიეცეთ, — განავრთობ-და ვიორგი, — მაგრამ მარტო ჩვენ ვერ გავართმევთ თავს ამ საქმეს. სოფელში ბევრია ისეთი კოლმეურნი, რომელიც ვერ შეეღევა ამ ვაზს. ეს ვაზი ხომ ათეული წლების მანძილზე ჰქონია ჩვენს მამა-პაპას. ამ საქმეში სხვებიც უნდა დავიხმა-როთ... სოვლის საბჭო, სკოლა, კომკავშირი და ჩვენი, ნორჩი მეზალები.

მიტომ და ზაქარომ ერთმანეთს გადახედეს. ვიორგი ვერ ამჩნევდა ბავშვებს, თორემ პირდაპირ მიმართავდა მათ.

— უნდა დაუხსნათ კოლმეურნეობის, თუ რა უპირატესობა აქვს შამანური ჯიშის გორულ მწვანესა და ჩინურს. ამ ვა-ზის ყურბანში სახელმწიფო კოლოში შევიდ მანეთს უხდის კოლმეურნეს. ქიწურა კი მანეთიც არა ღირს.

— მაგ ყურბანში ევეც არაბია, — თავი ასწია კოლმეურ-ნეობის მთავარმა ბულაპტერმა ვანო რჩელიშვილმა. იგი რომელიც წაიხს ჩაკირიტებდა. არ შეეძლო ვისმისთვის მოეხსენა, თუ არამეს კი კითხულობდა, ან არ წერდა. — მე რომ მკითხო, მაგ ყურბანის დღინო არც არის დასაღვეი.

— სუფრაზე რომ არ გახსოვს ეგა და ყანწს ყანწზე სცლი ხოლმე? — მიუღო ვანოს მიტოს მამამ ნიკომ.

— სუფრაზე?.. — დაიბნა უტებ ვანო. — სუფრაზე თუ სხვა დღინო არ არის, მასპინძლის სათრით ქიწურას კი არა, შხამს დაღუვს კაცი...

ვიორგის გაეღმა, მოეწონა ბულაპტერის პარტოზი. — ქიწურა, ამხანაგებო, გარდა ამისა, მცირემოსკოლიანი და ძნელი მოსაგლედიო, რადგან დაბალია და დაბოიანი სულ მუხლით დადის მისი მოვლის დროს. ძნელია მისი გადაბარ-ვა; შეეძლება, გამოფურჩქნაც, აკვრაც და დაკრეფაც.



სამი დღე ებრძოდა ტიმოთე თემეჯღომარეს.

— წეო და მუხლი ჩენი ადარ არის მაგ ტიალის გამო, — წერზე ხელი დაისვა პაპა ტიმოთემ.

— და შენ დღემდე მაინც თავს ევლები მაგ ტიალს, — მოუჭრა სიტყვა ტიმოთეს გიორგიმ.

— ვეფლები, მა რა უნდა ვქნა, თუ გიშენია, უნდა მოუარო კიდევაც.

— მეც მაგას ვამბობ, პაპა ტიმოთე, რომ გიშენია, — მობრუნდა ტიმოთესკენ გიორგი, — პირველი ბრძოლი ხარ კოლმეურნეობაში და სირცხვილი არ არის, შენი მდგომარეობის კაცი მუხლით დადიოდა ვენახში?

— მე პირველი ამოვთხრი ჩემს ვენახს. რას იტყვი, ნიკო, ზა, — შეხედა ნიკოს ტიმოთემ.

— ვიღებ შენს გამოწვევას, პაპა ტიმოთე, — უთხრა ლიმილით ნიკომ.

— ჩვენ ყოველნაირად შევწყობთ ხელს იმათ, ვინც გორულ მწვანესა და ჩინურს ვაშენებს, — აიღო სიტყვა თავმჯდომარემ, — სხვაგან თუ ამ ჯიშების ერთ ძირ ნამკენს სამ მანეთად შეიდიან, ჩვენ ჩვენს სანერგედან მანეთად მივცემთ. მოვამარაგებთ შაბიამით, გოგირდით, კირით, სასხურებელი იარაღით, დავებმარებით ნაკეთის გადახვნაში. მეტი რა გინდათ, ხალხო?...

კრება დიხანს არ გაგრძელდებოდა.

მიტომ ზარკის დაუტევა, სანამ იგი პაპამისის ფულს აიღებდა და, როცა ბავშვები კოლმეურნეობის კანტორიდან ეწოშნო ჩამოვიდნენ, აქ აღარაინ იყო. მხოლოდ კოლმეურნეობის დარაჯი იდგა ქოშკართან.

— საღამო მშვიდობისა, ძია ზაზა, — მიესალმნენ ბავშვები.

— მშვიდობა მოგვით, შვილებო, დემირთმა! — გაუღიმა ზაზამ ბავშვებს. — თქვენც კრებაზე იყავით, ბაღლებო?

— კრებაზე ვიყავით, ძია ზაზა, — უპასუხა მიტომ.

— იქნება ახლა მაინც ამოუვარდის ძირი იმ წყურთ ქიწურა!

— ამოუვარდება, ძია ზაზა.

— მე ამ ოცი წლის წინათაც ვამბობდი, რომ ის ამოსაგდები იყო, — მიმართა ზაზამ ზაქაროს, — მაგრამ პაპაშენმა, გოგამი, უბად ამიღო. ახლა რას იზამს ნეტავი გიგია?

— რასაც სხვა იზამს, პაპა გიგიაც ისე მოიქცევა, — უთხრა ზაქაროს.

— არა, გიგიას ვატყა ეგრე ადვილი არ არის. ჯიუტი კაცია პაპაშენი, ზაქარო. წადით, წადით, შვილებო, გვიანა უკვე, — გაუღო ზაზამ ქიშკარი ბავშვებს, თან ტაპაშის ჯიბიდან ერთი მუხი კაკალი ამოიღო. — მე არ მარგია ჩემი ბებერი კბილების პატრონს.

— გამაღობთ, ძია ზაზა!

მიტომ და ზაქარომ კაკლი გამოართვეს და ორდღებში გავიდნენ. ისინი ერთ ხანს დაფიქრებულნი მიდიოდნენ. ორივე გიგიაზე ფიქრობდა.

* * *

ჯიუტი იყო ზაქაროს პაპა გიგია. სოფელში ცივ და მიუკარებელ კაცად მიჩნდა. სიყმაწვილში იგი მხიარული და სიცოცხლით სავსე ჭბუტი იყო. გულჩაოხრობილი და მიუკარებელი პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნების შემდეგ გახდა.

იქ მან ცალი თვალი დაკარგა და ყუმბარის ნამსხვრევმა მარჯვენა ღრუა გაუღოჯა. ეს კრილობები ხლიდა მის სახეს მრისხანეს და ცივს. ცხოვრებაში მალე გულიც დაუტყდა. ფრონტიდან დაბრუნებულს სახლი განაჩნებულნი გაუხვდა. დედა გარდაცვლილიყო, მამა ჯერ კიდევ ხუთი წლისამ დაკარგა, ოჯახში უფროსი და ელისაბედი დაუხვდა. ის არ გათხოვილიყო, რათა მისთვის თბილი კერა დაეხვედრებინა.

არაფინ მოეჩინა ფრონტიდან დაბრუნებულ გიგიას, რომ ოჯახი ფეხზე დაეყენებინა. ყველას თავისი გაჭირება ჰქონდა და ვინ მოიცოდა მისთვის. გიგია და ელისაბედი დედ და დამეს ასწორედნენ შრომაში, გიგია ცდილობდა, დისთვის ცოტა მზითევა გაეშალებინა, ელისაბედი კი მძას ცოლის მოსაყვანად აშალებდა.

რამდენიმე წელიწადი გაატარეს ერთმანეთის ცდაში. ელისაბედი მძას აჩქარებდა, ჯერ შენ მოიყვანე ქალი, მე მერე ვავთხოვებო.

— ვინ გაჰყვება, ჩემო დაო, დასახიჩრებულ კაცს, — ეტყუა ხოლმე ქალის ნაღველით გიგია დას, — რა უნდა მოეწონოს ჩემი ვაჟს? სიმდიდრე, გარეგნობა, თუ განათლება?... — მაგრამ აღმოჩნდა ბოლოს ისეთი ქალი, რომელსაც გარეგნობაც მოეწონა მისი, აღამაინებდა და ოჯახიც.

ერთხელ გიგია ნადირობიდან ბრუნდებოდა. წელზე სამი ოდე კურდღელი და ტყის ქათამი კიდა.

მზისაგან გახურებული მინდორი ყვავილებით იყო აჭრელებული. ირგვლივ ფრინველების გალობა და ქიქკი ისმოდა. ისინი გლობდნენ და ქიქკიებდნენ ხეებზე, ბუჩქებში, ბალახებში. ამ ტკბილ და მხიარულ სმებს ათასგვარად დაკლამებული ღელის ლოკლიც უერთდებოდა.

ყოველთვის, როცა მთელ დღეს ტყე-ღრუში ხეტიალით დაქანცული გიგია ამ მინდორს მოუახლოვდებოდა, ნაზიჯს შეანებებდა, თითქოს ჩიტები ამ შუის გულზე იმისათვის იყრიდნენ თავს, რომ გიგიასათვის ეკალობათ, მისი დარდანი გულისთვის შვება მიეცათ. გიგია შეჩერდებოდა ხოლმე, დადებდა ნაწილიტებს, ჩამოჯდებოდა სუნზე, ან წამოწვებოდა ბალახში და საათობით ტუბებოდა მომხიბლავი ჰანკებით.

გიგის ერთი ადგილი ჰქონდა შერჩეული. ღელისიბრა ხეზე ბულბულის ბუდე ჰქონდათ გამართული. როცა კი ჩამოვივლიდა გიგია აქეთ, ორი ბულბულა ყოველთვის ერთად იჯდა, ერთ შერჩეულ ტოტზე, ბუდესთან ახლოს. მაღლა თავაწეულენი, პატარა ფრთების თრთოლვით თავდავიწყებით გალობდნენ. მათი ციქქნა ტანი ნეტარებით ფიქთქვდა.

გიგია შესცქერდა მომღიმარი სახით, მაგრამ ამ ღიმილში სევდაც იყო, მწუხარებაც და შურიც. „ჩიტების ბედიც

კი მშობს, — ფიქრობდა გიგია და რცხენოდა, — მათ აქვთ ულახისი, მკვთო მუხისი. მე კი, მე... არავის არ ვჭირდები, არავის შესტკივა ჩემზე გული“.

დაღლილი იყო გიგია და მანც გრძელი ნაბიჯით მიდიოდა. ემზინდა, არ შეეწყვიტათ ბუბუბულებს გალობა. გამოსცდა მეზბაკრულ მუხას, გაიარა ბუჩქები და გაცეცხული შეედა.

ჩვიდმეტ-თვრამეტ წლის გოგონა იდგა ხის ქვეშ, თავი უკან გადაქცია, გაწეწილი თმა მხრებზე და ზურგზე ეყარა. ძვილი, ლავა-ლავა ეკალ-ბარდებზე მიხეული გახუნებული ჩითის კაბა მუსულებამდე ძლივს სწევდებოდა, სახელოვანი დამოხატობა. წერწეტა, მოქნილ ტანზე კაბა ისე ჰქონდა შემოსხვილი, რომ აწველი მისახვედრი იყო, ქალიშვილი ამ კაბისათვის კარგა ხანია ვაზრდილიყო. წვივები და მკლავები დაკაწრული ჰქონდა, მზისაგან ვაშვებული სახე და ტანი ხორბლისებრად უზრწყნივდა. მარჯვნივ ხელში წალი ეძირა და ეს ხელი გულზე მიეკრა, ცალი ფეხი კობტად შერკრულ გულურაზე ედგა, თვალები ოდნავ მოუჭურტა და თავდავიწყებით უსტვენდა.

გიგამ თვალებზე ხელი მოსვდა. არა, არც სმენა ღალატობდა მას და არც თვალთ.

„რამ წამოიყვანა ასე შორს შენსაზე. სადაურია, ვისია ნეტავი?“ — გაიფიქრა გიგამ. იგი ადგილიდან არ იძრია, არ უნდოდა დაერტვია გალობა. კარგად ხედავდა ქალიშვილს. მთელი მისი სხეული სიცოცხლის სუნთქავდა. მის ხმაში მანც რაღაც ხედავდა უღერდა.

უცებ გიგას მძიმე ნაბიჯებმა და ფინის მტვრევის ხმა შემოეხსმა. იმავე წამს ღელიდან უჩარხანო, წაბლისფერი დათვი ამოვიდა. დათვი პირდაპირ გოგონასაკენ მიდიოდა. გოგონა კი ისე იყო გატაცებული სტვენით, რომ არ ხედავდა დათვს და არც მისი ნაბიჯების ხმა ესმოდა.

შეეწყვიტეს ბუბუბულებმა გალობა, აწრიალდნენ, აუფიქვდნენ.

იგრძნო გოგონამ, რომ რაღაცამ დააფრთხო ჩიტები, მოტრიალდა და ხუთოთხე ნაბიჯზე დათვის წინ აღმოჩნდა.

ეს ისე მოულოდნელი იყო გოგონასათვის, რომ იგი უცებ ვერ მიხვდა იმ საშიშროებას, რომელიც ელოდა. როცა დათვი უკანა ფეხებზე შედგა და პირი დააღო, მაშინ კი შეჰკვივლა ერთი, და ამ დროს გიგას თოფშიც დაიჭურტა.

დათვმა ერთი დაიღრიალა, ქალიშვილს ზურგი შეაქცია და გიგასკენ გაქანა. ქალიშვილი სწრაფად მოტრიალდა იქით, საიდანაც თოფი ვაკვარდა. დაიანახა საოცარი სისწრაფით უახლოვდებოდა დათვი თოფმომარკვებული კაცს.

კვლავ დაიჭურტა თოფმა. დათვი წაიქცა, მაგრამ ისევ წამოიჭრა, ერთ ადგილას შეტრიალდა და, სანამ გიგია თოფის გატენას მოასწრებდა, ზედ მიეჭრა. ამის დანახვაზე ქალიშვილმა აუწყოდ გაასახავა ხელები და გულწასული გუდურაზე დაეცა.

დათვის დაჭერება და გიგას სატევრის გაეღვება ერთი იყო. გიგია ღონიერი კაცი იყო, კამენს მოურჩებდა კისერს. მოხერხებულად ჩადემული ხანჯალი შებ გულამდე მიუწვდინდა დათვს და უშალ მოუსწრაფა სიცოცხლე. უკანა ფეხებზე შემდგარი დათვი უძრავად იყო, სანამ გიგამ ხანჯალი არ ამოძრია და ხელი არა ჰქარა.

დათვმა ზღარათნი გადაიდა მიწაზე.

გიგამ მაშინვე იქით გაიხედა, სადაც ქალიშვილი ეგულყობოდა. გოგონა გულშემოყრილი რომ დაიანახ, ვახსხლიანებული სატევარი ქარქაშში ჩააგო და მისკენ გაიქცა.

გულწასული ქალიშვილი კიდევ ფერო მომხიბლავი და ულახისი ჩანდა. გიგია დაიანახ, თავქვე ხელი ამოსდო და წამოსწია, შეეხვედრია, მაგრამ გოგონა გონზე ვერ მოვიდა. მაშინ ხელში აიყვანა ქალიშვილი და ღელისკენ გაეშურა.

ისეთი სიფრთხილი მიჰყავდა მკლავებზე გადაწვნილი, გეგონებოდა, მძინარე ბავშვი მიჰყავდა და ემზინა, არ გაეღვიძოსო. მიიყვანა ღელის პირას და ბალახზე დააწვინა. დასწვდა წყალს ბეშვით, მობრუნდა ქალიშვილისკენ, მაგრამ იგი უკვე თვალგაბილული იწვა. გიგას დანახვაზე კვლავ დასტუთავდა.

„დათვზე უფრო მგონი ჩემმა დანახვამ შენსაში“, — გულისტკივლით გაიფიქრა გიგამ. ხელი აუბრთოლოდა, წყალი მასწარის კალთებზე ჩამოედგარა. ერთ ხანს უძრავად იდგა მუსულებზე. თვალმოუშორებლად დასტკერდა ქალიშვილს და თვითონ შიშით თრთოდა. აღამაინის ფერი არ ედო.

— გაახილეთ თვალი, გოგო, — უთხრა ქალიშვილს გაუბედვარი და გაზნარული ხმით, — დათვი მოვკალი. შე ხომ აღამაინა ვერ, მე არას ვერჩივი!

ქალიშვილი წამოაჯდა, ფეხები შეიკვცა. გაცეცხული შეეხვედრდა გიგას. უფიქრად, ეს ახლანდელი ვეჯაკი რად იდგა მუსულებზე. მოეწინა ეს ქალიშვილს. გული მიეცა, გაიღმა, თითქმის მზემ გამოანათაო, თავი შეაჩრია და აწეწილი თმა უკან გადაიყარა.

— ვისი ხარ, გოგო?

— არავისი! — ქალიშვილი აქეთ-იქით აცეცხვდა ცასავით ლურჯ გრძელწამწამებთან თვალებს. დათვს ეძებდა.

— როგორ თუ არავისი ვინაა შენი ღელ-მამა?

— არა მყავს ღელ-მამა.

— აქ რა ვინდობ? რამ წამოიყვანა ამ სიშორეში მარტო?

— შენისათვის გამოგზავნეს, — უთხრა ქალიშვილმა გიგას, — სულ მარტო არ დავდვიარა! — შეხებდა გიგას ვახსხლთანებულ სატევარს. — მოკალი დათვი? — შესძახა აღტაცებით და წამოხტა.

— აი, იქა ვიდა! — ხელი გაიშვირა გიგამ დათვისკენ და თვითონაც წამოაჯდა. მუსულისთავეები დაიბერტყა.

ქალიშვილი დათვისკენ გაიქცა. ისე მიბრბოდა, თითქმის მიწას ფეხს არ აკარებდა, თავზე წამოაჯდა დათვს. სისხლის გუბე იდგა მის წინ.

— რამდენი სისხლი დაუღერია! — შეეცოდა დათვი, ხელი გადაუსვა ზურგზე, მერე გიგასაკენ მობრუნდა. — ჩემი გული-სათვის საფრთხეში ჩაიგდეთ თავი!

— შენი გულისათვის, გოგო... დათვს კი არა, ღვეს დავეცილებდი, — წალღულღულა გიგამ მისდაუხეზურად, იგრძნო ოღლი დაასხა სახეზე, გაწიოდა, შერცხვა, ეს რა წამომცდაო.

ქალიშვილმა კვლავ შეანათა თვალები, გაუღმა ისევ, კვლავ გაიღვდა თორმე კალითმა. იგივე გულისთვის დათვს კი არა, ღვეს დავეცილებდი, ეს მე მოხერია ღვესცა აჯლობებს... ცხრა თავიანს, თორმეტ თავიანს! — აღტაცებით ფიქრობდა გოგონა და თვალს ვერ აშორებდა გიგას ღონიერ მკლავებს, მის ვანიერ მხრებს, სქელ კისერს. „თვალა აღბანაღრამა, გიგა უფუფუკ... როგორ ერიდება ჩემი. ვერ ჩემთვის არავის გამოუღვია თავი, არავის უთქვამს ტკბილი სიტყვა“ უცებ ისეთი სიხარულით, ისეთი ბედნიერება იგრძნო, რომ ტრემლი მოაღდა თვალებში. შეეშინდა, არ ატირებულყოფა და გულურის ასაღებად გაემართა.

გიგია დაწინაურდა, გუდურა და წალი აიღო.

— მე წამოვადებ, — უთხრა ქალიშვილს.

— დათვი?
 — დათვი ვეღარსად წავა!
 ერთ ხანს ორივე ჩუმად მიდიოდა.
 — რა გქვია, გოგო? — დაარღვია ბოლოს სიჩუხე გიგამამ.
 — თინა?
 — თინა?
 — დედა თინას მეძახდა, — თქვა ნადვლიანად ქალიშვილი-
 მა, — დედის სიკვდილის შემდეგ... ახლა თინას მეძახიან.
 — ვინ გეძახის თინასა?
